ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვის და საქალაქო მეურნეობისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიების გაერთიანებული სხდომის

# ო ქ მ ი N15

**სხდომის ჩატარების დრო:**
**21 ნოემბერი, 2022 წელი**

**სხდომის ჩატარების ადგილი:**
რუსთაველის გამზირი N3
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი.**

**ესწრებოდნენ კომისიის წევრები:**
ბესიკ ხამაშურიძე, მაგდა კოსტავა, მამუკა რიჟამაძე, ჯემალ ბიბილეიშვილი, თეიმურაზ ნადირაძე, ზაქრო მამასახლისი, კობა გურული, ნინო ბიბილეიშვილი, დავით ბახტაძე.

**საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე** ბაქარ მახარაძე.

**საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები:** ირაკლი შენგელია, გია ბასილაძე, მარეხი ნიჟარაძე, ელეონორა არჩაია, დარეჯან ფხაკაძე.

**სულ:** 16 წევრი.

**არ ესწრებოდნენ:** პაატა ლილუაშვილი, მაია სიმონიძე, ნინო ჩიკვაშვილი, ბესიკ ბრეგაძე, გრიგოლ შუშანია, გიორგი კილაძე, ლაშა შალამბერიძე, გაგა მანაგაძე, რომან ქვაჩაკიძე.

**სულ:** 9 წევრი.

**სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი **დავით ნიშნიანიძე.**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-

ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი **თინათინ ბერიშვილი.**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- სოციალური სამსახურის ხელმძღვანელი **ვარლამ გობეჯიშვილი.**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- სოციალური სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე **ფიქრია ხაჭაპურიძე.**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე **მირზა ხიდაშელი.**

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები:

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **იმედა საღინაძე,** საია-ს ქუთაისის ფილიალის პროგრამების დირექტორი **ნოდარ ჯიქია.**

სხდომა გახსნა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** და წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 16-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: პაატა ლილუაშვილი, მაია სიმონიძე, ნინო ჩიკვაშვილი, ბესიკ ბრეგაძე, გრიგოლ შუშანია, გიორგი კილაძე, ლაშა შალამბერიძე, გაგა მანაგაძე, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით,-ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **დავით ნიშნიანიძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **დ.ნიშნიანიძემ** აქვე განმარტა: „წარმოგიდგენთ 2023 წლის ბიუჯეტის პარამეტრებს, პროგრამებში არ გვაქვს ძირეული ცვლილება, მთავარი ცვლილებაა ფინანსური ზრდა, გათვალისწინებულია ხელფასების 10 %-იანი მატება, ასევე ჯანდაცვის პროგრამებზე ზოგადად ვიტყვი, რომ გვაქვს 400 000 ლარიანი ზრდა. ყოველ წელს, როგორც ვიცით დამტკიცებულ ბიუჯეტში ინფრასტრუქტურის კუთხით თანხების ასახვა ხდება მხოლოდ ადგილობრივი სახსრებით, ამ პროექტშიც არ არის ჯერჯერობით ასახული რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოსაყოფი თანხები, ვინაიდან ამ განკარგულების გამოცემა იგეგმება დეკემბრის ბოლოს ან იანვრის შუა რიცხვებში და როგორც წესი, ზემოაღნიშნული თანხების ასახვას ვახორციელებთ იანვრის თვეში პირველივე ცვლილების შემდგომ. გამოსაყოფი თანხა შეადგენს დაახლოებით 11 მილიონს, გარდა ამისა, 2022 წელი ვიცით, რომ განსაკუთრებული წელი იყო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების კუთხით, გამოყოფილი იყო 30 მილიონიანი გრანტი და ამ თანხების გახარჯვა ახლაც ხდება მიმდინარე სამუშაოების ფარგლებში, 2023 წლისათვის მთავრობისგან გვაქვს მხარდაჭერა, იგეგმება განკარგულებით, დამატებითი თანხის გამოყოფა, რომელიც მოხმარდება ასევე ინფრასტრუქტურულ პროექტებს. წესით 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში არ დარჩება არცერთი ინფრასტრუქტურული პროექტი დაუფინანსებელი. მთავრობისგან გამოყოფილი თანხების გარდა, 2023 წლის ბიუჯეტი შეადგენს 85 917 000 ლარს. ასევე იგეგმება დამატებითი ღირებულების გადასახადის ზრდა ქუთაისის მუნიციპალიტეტში, გადასახადების ნაწილში დღეის მდგომარეობით გვაქვს 5 მილიონიანი ზრდა, ყველა დამატებითი თანხა, რომელიც დღეის მერე იქნება მოზიდული, მოხმარდება ინფრასტრუქტურულ პროექტებს, ვინაიდან სხვა დანარჩენი პროგრამები შევსებული გვაქვს საჭიროებებიდან გამომდინარე.“

**ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:**

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „ბიუჯეტის პროექტს თუ გადავხედავთ ვნახავთ, რომ ამოღებულია ბევრი ინფრასტრუქტურული პროექტი, რამაც ჩემი უკმაყოფილება გამოიწვია, კერძოდ, პროექტში არ არის გათვალისწინებული გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთების, საყრდენი კედლების მშენებლობა-რეაბილიტაციის, ადმინისტრაციული ორგანოების შენობების მშენებლობის, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობის, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების რეაბილიტაციის, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მცხოვრებთათვის სხვადასხვა სახეობის მასალების შეძენა-გადაცემის, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის ქვეპროგრამები, ამასთან მკვეთრადაა შემცირებული სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია-მშენებლობის ქვეპროგრამის ბიუჯეტი. ვიმედოვნებ, რომ

ამ პროექტის დაზუსტებულ ვერსიაში სასიკეთო ცვლილებები იქნება, რადგან ამ ვარიანტით შემოსულ ბიუჯეტზე მხარის დაჭერა გამიჭირდება.“

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ბაქარ მახარაძე:** „ტრანსპორტისათვის გამოყოფილია 3 700 000 ლარი, ფიქრობთ, რომ ეს საკმარისია?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **დავით ნიშნიანიძე:** „იმ შემოსავლების გათვალისწინებით, რაც ტრანსპორტს საკუთრივ გააჩნია, 3 700 000 სუბსიდიასთან ერთად, საკმარისი უნდა იყოს მისი გამართულად ფუნქციონირებისათვის.“

საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ელეონორა არჩაია:** „სანიაღვრეების რეაბილიტაციისათვის თუ არის გამოყოფილი ფინანსები?“

საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **დავით ნიშნიანიძე:** „აუცილებლად იქნება ამ კუთხითაც განსაზღვრული ბიუჯეტი, მერის მიერ გამოცემული განკარგულებით გამოყოფილი თანხებიდან, სანიაღვრეებსა და საყრდენი კედლების რეაბილიტაციის პროგრამებისათვის 2023 წელს იგეგმება საკმაოდ მოცულობითი თანხების გამოყოფა.“

კომისიის წევრი, ბატონი **თეიმურაზ ნადირაძე:** „ბატონმა ამირან კოპალეიშვილმა საკმაოდ დიდი ჩამონათვალი წარმოადგინა გაუთვალისწინებელი პროგრამებისა და როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია აღნიშნული დეფიციტის შევსება?“

საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **დავით ნიშნიანიძე:** „რათქმაუნდა მოლოდინი არის, რომ აღნიშნული პროგრამების ბიუჯეტი შეივსება.“

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ბაქარ მახარაძე:** „სოციალურ სამსახურთან გადავალ კითხვით, მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამაზე თანხების შემცირება რამ გამოიწვია?“

სოციალური სამსახურის უფროსი, ბატონი **ვარლამ გობეჯიშვილი:** „მოგეხსენებათ ჩვენ წინა წელს სოციალური ქულა ავწიეთ, წინასწარ მინდა გითხრათ, რომ ვერავინ განსაზღვრავს, რამდენი ბენეფიციარი შეიძლება მოვიდეს, ახლაც გვაქვს იდეის დონეზე 100 000 ქულამდე ხოარ ავწიოთ მედიკამენტების მსურველთა კრიტერიუმი, მაგრამ 1546 ოჯახია და თითქმის სამჯერ მეტი მოქალაქეთა რაოდენობა და ბუნებრივია დიდ თანხაზე გადის, ამიტომ ამ ეტაპზე, რადგან ვერ ვამატებთ სხვა კატეგორიებს, ვთვლით, რომ 280 000 ლარი საკმარისი იქნება.“

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ბაქარ მახარაძე:** „გადაუდებელ რეაგირებას ემატება 50 000 და თუ შეიძლება გვესაუბრეთ ამაზე.“

სოციალური სამსახურის უფროსი, ბატონი **ვარლამ გობეჯიშვილი:** „გადაუდებელი რეაგირების პროგრამა არის პროგრამა, რომლის ფარგლებში მოქალაქეს დახმარება სჭირდება

მყისიერად, არა მარტო კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი, არამედ სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ოჯახებისათვის ეს დახმარება იქცა საშველად, ეს 50 000 შეიძლება 50-ზე მეტ ოჯახს ვერ გაწვდეს, თუმცა მაინც მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ დახმარების ეს არეალი გავუფართოვეთ მოქალაქეებს."

კომისიის წევრი, ბატონი **თეიმურაზ ნადირაძე:** „რაც შეეხება აუტისტური სპექტრის ბავშვების მკურნალობის პროგრამას, ჩემი აზრით, ისე დიდია მოთხოვნა ამ კუთხით, ბიუჯეტი ვერასდროს ეწევა რეალურ სურათს და ხომ არ მივიღოთ ზომები, რომ იყოს უფრო მეტი საშუალება ბიუჯეტში."

სოციალური სამსახურის უფროსი, ბატონი **ვარლამ გობეჯიშვილი:** „პირველ რიგში შევეხები პირველი ნოემბრის ცვლილებებს, ეს მიმართულია მოქალაქეთა სასარგებლოდ, იმისათვის, რომ არ დაზარალებულიყვნენ მოქალაქეები, ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ პირადად ჩემი კომუნიკაციით, ქუთაისისა და თბილისის კლინიკებთან მივაღწიეთ შეთანხმებას, რომ მიმდინარე ფორმა N100 და არნგარიშფაქტურა გაწერამდე ჩვენ მივიღოთ, იყო გარკვეული წინააღმდეგობა, თუმცა საბოლოოდ დაგვეთანხმნენ მოქალაქეების საკეთილდღეოდ. მიმდინარე ფორმა N100-ის დამზადება შეუძლიათ კლინიკებს, (გადაუდებელი სტაციონარი). ჩვენ გვაქვს მოფიქრებული ორი მიმართულება, ერთი-ჩაიბას ძველებურად სოციალური კატეგორიები და მეორე-დარჩენილ ნაწილში დაფინანსების პროცენტი დავადგინოთ. აქვე შევეხები აუტიზმის თემასაც, დაახლოებით 10 ნოემბერს დავგეგმეთ ამ კუთხით რამდენი უნდა განგვესაზღვრა ბიუჯეტი და როგორ დაგვეწყო ახალი წელი, ამჟამინდელი მდგომარეობით გვყავს 278 აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვი, დაახლოებით განვსაზღვრეთ 20 ბავშვით მეტი რაოდენობრივად, თუმცა აი დღეს აქ რომ ვმსჯელობთ ამ საკითხზე უკვე 30 მომლოდინე ბავშვი გვყავს, აქედან გამომდინარე ჩვენ შევიტანთ ამ საკითხში ცვლილებას და წლის ბოლომდე გაცილებით მეტი იქნება, თუ მშობელს სურს ამ პროგრამაში ჩასვას მისი შვილი, განაცხადი აუცილებლად უნდა გააკეთოს 1 დეკემბრამდე, რადგან სწორად დავგეგმოთ ბიუჯეტი."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 16-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: პაატა ლილუაშვილი, მაია სიმონიძე, ნინო ჩიკვაშვილი, ბესიკ ბრეგაძე, გრიგოლ შუშანია, გიორგი კილაძე, ლაშა შალამბერიძე, გაგა მანაგაძე, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

განკარგულების პროექტში „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ" აისახოს გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთების, საყრდენი კედლების მშენებლობა-რეაბილიტაციის, ადმინისტრაციული ორგანოების შენობების მშენებლობის, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების

კეთილმოწყობის, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების რეაბილიტაციის, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მცხოვრებთათვის სხვადასხვა სახეობის მასალების შეძენა-გადაცემის, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის ქვეპროგრამები და მიღებული დასკვნა, შენიშვნების თანდართული რედაქციით, წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

ამით, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობისა და საფინანსო-საბიუჯეტი კომისიების გაერთიანებულმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და
საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე
ამირან კოპალეიშვილი

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის
თავმჯდომარე ბაქარ მახარაძე